

საქართველოს კანონი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №13, წელი 2005, მუხ. 84) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მკაცრი აღრიცხვის ფორმები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომელთა დამზადება შეუძლებელია საქართველოში არსებულ პოლიგრაფიულ საწარმოებში, დამკვეთის გადაწყვეტილებითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაძლებელია დამზადდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი